



## ეროვნული ინტერესების დაცვა თუ სტრატეგიული პარტნიორების მიტოვება? საქართველოს მთავრობის პოზიცია რუსეთის უკრაინაში შეჭრაზე

ლევან კახიშვილი<sup>1</sup>

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უკრაინაში „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ დაწყების განკარგულება გასცა და უკრაინაზე სრულმასშტაბიანი შეტევა დაიწყო, რამაც დასავლეთის ქვეყნები გამოაფხიზლა. „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე ბნელ საათებში“ (European Union External Action 2022), დასავლეთმა ერთიანი პოზიცია დაიკავა, რომ რუსეთის შეჭრა უკრაინაში „არაპროვოცირებული და გაუმართლებელი“ იყო (The White House 2022). ამდენად, პუტინის ომის მანქანის დაფინანსების შესაძლებლობის მოსასპობად დასავლეთმა „რუსეთის ეკონომიკის ჩამოშლა“ (Euronews 2022) განიზრახა და უკრაინას ფინანსური რესურსი და სამხედრო აღჭურვილობა გამოუყო მედგარი წინააღმდეგობის მხარდასაჭერად. რუსეთის ისეთი ტრადიციული პარტნიორებიც კი, როგორცაა ჩინეთი, განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენენ შეფასებებში და ღიად გამოხატავენ უკრაინის სუვერენიტეტის მხარდაჭერას (Martina 2022). ამასთან, ყაზახეთმა უარი განაცხადა უკრაინაში საკუთარი ჯარის გაგზავნაზე (Alexander 2022), რაც მოსკოვს საშუალებას მისცემდა „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ ლეგიტიმაცია კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (CSTO) ქოლგის ქვეშ მოეხდინა. თუმცა, ახლა რუსეთს დანარჩენ მსოფლიოსთან ძირითადად მარტო მოუწევს გამკლავება, სავარაუდოდ, ბელარუსის, ირანის, ჩრდილოეთ კორეის და სირიის მხარდაჭერით.

ამ ფონზე, საქართველოს მთავრობამ საჯაროდ განაცხადა, რომ ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით (Civil Georgia 2022b), საქართველო არ შეუერთდება სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ (Civil Georgia 2022b). პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე

<sup>1</sup> ლევან კახიშვილი საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსი და ბამბერგის უნივერსიტეტის (გერმანია) დოქტორანტი. ავტორს სურს მადლობა გადაუხადოს თენგიზ ბაკურიძეს ამ პოლიტიკის ნარკვევის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის.

განაცხადა, რომ არავის შეუძლია უკრაინაში ომის შეჩერება და რომ სანქციები არაეფექტურია (Civil Georgia 2022g). ომის დაწყებამდე კი, პარლამენტმა მიიღო უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია ტექსტში რუსული აგრესიის ხსენების გარეშე (Civil Georgia 2022d). კრიტიკის საპასუხოდ, ქართულმა ოცნებამ განაცხადა, რომ „რეზოლუციის ტექსტი ზუსტად შეესაბამება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს“ (Civil Georgia 2022f). ამასთან, ქართული ოცნება იყენებდა პრაგმატიზმს და საქართველოს „უსაფრთხოების, ეროვნული ინტერესებისა და ეკონომიკის“ დაცვას უკრაინის შესახებ რიგგარეშე საპარლამენტო სხდომის ჩატარების ჩაშლის საბაზად (Civil Georgia 2022c).

წარმოდგენილი პოლიტიკის ნარკვევი საქართველოს მთავრობის პოზიციას აანალიზებს უკრაინაში მიმდინარე ომთან მიმართებით და ფართო სურათში ახდენს ქართული ოცნების საგარეო პოლიტიკის კონტექსტუალიზაციას, რომელიც პარტიის ვიწრო პოლიტიკური ინტერესების გავლენის ქვეშაა. ამ უკანასკნელმა საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორებს ყველაზე რთულ მომენტში ჩამოაცილა და ქვეყნის რუსეთთან ასოცირების რისკი გააჩინა, რომელიც მსოფლიოს ატომური ომით ემუქრება (Tsvetkova 2022).

## **რა გავლენას ახდენს ქართული ოცნების პარტიული ინტერესები საქართველო-უკრაინის სტრატეგიულ პარტნიორობაზე?**

საქართველოსა და უკრაინას მჭიდრო კავშირი აქვთ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, რაც საერთო „ეკონომიკურ, პოლიტიკურ და უსაფრთხოების ინტერესებში გამოიხატებოდა იმის მიუხედავად, ჰქონდათ თუ არა მეგობრული ურთიერთობა ერთმანეთთან მთავრობის წევრებს“ (Kakachia 2016: 142). 1997-2017 წლებში საქართველომ და უკრაინამ ხელი მოაწერეს 107 ორმხრივ ხელშეკრულებას, ხოლო 2007-2017 წლებში ორ ქვეყანას შორის 85 მაღალი დონის ვიზიტი შედგა (Kakhishvili and Kupatadze 2022). შედარებისთვის, იგივე მონაცემები მოლდოვის შემთხვევაში 17 და 44, ხოლო ყაზახეთის შემთხვევაში 39 და 23-ია (Kakhishvili and Kupatadze 2022). თუმცა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ქართული ოცნება უკრაინის ღია მხარდაჭერას პარტიის ანტი-რუსული რიტორიკის შემცირების მცდელობისა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობების „ნორმალიზების“ პოლიტიკის საწინააღმდეგოდ მიმართულ ნაბიჯად მიიჩნევდა. შესაბამისად, ქართული ოცნება ერთმანეთისგან მიჯნავდა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსა და რუსეთის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებით (InterPressNews 2022). 2014 წელს ღარიბაშვილი აცხადებდა, რომ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შედარება „დიდი შეცდომა იყო“ (იხ. Kakachia, Minesashvili and Kakhishvili 2018). ამასთან, პირველად 2015 წელს, ქართული ოცნების მიერ მიღებული საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტში უკრაინა აღარ იყო საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების სიაში. ეს, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ქართული ოცნების პარტიულ-პოლიტიკურ ინტერესებთან.


2015 წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება არ მოეხსენიებინა უკრაინა სტრატეგიულ პარტნიორად, შესაძლოა, აიხსნებოდეს საქართველო-უკრაინის გაუარესებული ურთიერთობებით მას შემდეგ, რაც ქართველი პოლიტიკოსები და ბიუროკრატები, მათ შორის, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში გადავიდნენ და უკრაინის სამთავრობო უწყებებში განაგრძეს მუშაობა. საქართველო არაერთგზის ითხოვდა უკრაინიდან მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირებას ძალაუფლების გადამეტების ბრალდებით (Civil Georgia 2017). უკრაინის ოფიციალური პირები ამაზე უარს აცხადებდნენ (BBC 2017). თუმცა სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა 2017 წლის 26 ივლისს ჩამოერთვა (The Economist Intelligence Unit 2017a), საქართველოსა და უკრაინას შორის სტრატეგიული პარტნიორობის დეკლარაციის გაფორმებიდან თითქმის ერთი კვირის შემდეგ (The Economist Intelligence Unit 2017b). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ოცნებამ დაუშვა, რომ ვიწრო პარტიულ პოლიტიკურ ინტერესებს გავლენა ჰქონოდა იმაზე, თუ როგორ ინტერპრეტაციას მისცემდა მთავრობა ეროვნულ ინტერესებსა და სტრატეგიული პარტნიორობის ჩამონათვალს. თუ ეს მართალია, არ არის გამორიცხული, რომ არსებულ სიტუაციაში, ქართული ოცნება ისევ საკუთარ პარტიულ-პოლიტიკურ ინტერესებს იცავდეს. ეს პარტიული ინტერესი ძირითადად მისი მთავარი კონკურენტის - ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან გამიჯვნაზეა ფოკუსირებული.

## **ცდილობს თუ არა ქართული ოცნება მიზანმიმართულად გაემიჯნოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საგარეო პოლიტიკას?**

წინა კვლევებმა აჩვენა, რომ ქართული ოცნების და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოზიციები საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გარკვეულ საკითხებზე ძირითადად თანხვედრაშია (Kakhishvili et al 2021) და, რომ მთლიანობაში ორ პარტიას მსგავსი საგარეო პოლიტიკური ორიენტირი აქვს მცირეოდენი განსხვავებებით (Kakhishvili 2021). ამავდროულად, ქართულ ოცნებას ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან განსხვავებული დისკურსი აქვს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებსა და აგვისტოს ომზე. ეს დისკურსი ორი მსოფლმხედველობის შედეგია. პირველი, ქართულ ოცნებას სჯერა, რომ მას შეუძლია რუსეთის სამხედრო აგრესიის საფრთხის ნეიტრალიზება ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზებითა და საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების სწრაფვის შერბილებით. მეორე, ქართული ოცნების აზრით, ეს პრინციპები რომ აგვისტოს ომამდე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკის საფუძველი ყოფილიყო, შესაძლებელი იქნებოდა ომის თავიდან აცილება. ამდენად, ქართულმა ოცნებამ შეიმუშავა დისკურსული სტრატეგია ანტი-რუსული რიტორიკის შესამცირებლად. ეს ცვლილება შესამჩნევია ტექსტური დოკუმენტების, კერძოდ, 2012, 2016 და 2020 წლების საარჩევნო პარტიული პროგრამების, ასევე საქართველოს მთავრობის აგვისტოს ომის შემდგომი სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზისას.

დიაგრამა 1-ში წარმოდგენილია ორ განზომილებიანი პოლიტიკის სივრცე, სადაც ჰორიზონტალური განზომილება ასახავს დასავლეთის აღქმას, ხოლო ვერტიკალური განზომილება - რუსეთის აღქმას. დადებითი მნიშვნელობები მიანიშნებს დადებით აღქმებზე, ხოლო უარყოფითი მნიშვნელობები - უარყოფით აღქმებზე. დიაგრამაში ასახულია 2011 წლის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში (Government of Georgia 2011); 2014 წლის ქართული ოცნების ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში (Government of Georgia 2014); და 2015 და 2019 წლების ქართული ოცნების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში (Government of Georgia 2015; Government of Georgia 2019) წარმოდგენილი პოზიციები. ამასთან, დიაგრამა ასახავს ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების პარტიულ პოზიციებს 2012, 2016 და 2020 წლების არჩევნების პერიოდში<sup>2</sup>.

დიაგრამა 1. ქართული ოცნების და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ასევე საქართველოს მთავრობის პოზიციები დასავლეთსა და რუსეთთან მიმართებით.



შენიშვნა: ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული პროგრამები აღნიშნულია შესაბამისი პარტიის ლოგოთი; საქართველოს გერბით აღნიშნულია სტრატეგიული დოკუმენტები - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ეროვნული

<sup>2</sup> ავტორმა პოზიციები გამოიანგარიშა ტექსტის რაოდენობრივი ანალიზით კახიშვილის (Kakhishvili 2021) მიერ გამოყენებული კოდირების ჩარჩოსა და ლოგარითმული პროპორციების მეთოდის (იხ. Lowe et al 2011) გამოყენებით, რომელიც აფასებს განსხვავებას დასავლეთსა და რუსეთთან დაკავშირებული ქვეყნებისა და ორგანიზაციების დადებით და უარყოფით ხსენებებს შორის.

უსაფრთხოების კონცეფცია წითელი წრით, ხოლო ქართული ოცნების ეროვნული სამხედრო სტრატეგია და საგარეო პოლიტიკის სტრატეგია ლურჯი წრით. (წყარო: ავტორის ილუსტრაცია)

დიაგრამაში წარმოდგენილი მონაცემები ოთხი ძირითადი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. პირველი, ყველა განხილულ დოკუმენტში ასახული პოზიციები ორ განზომილებიანი სივრცის ერთსა და იმავე სექტორშია, რაც იმას ნიშნავს, რომ 2011 და 2020 წლების პერიოდში არ მომხდარა პოლიტიკის რადიკალური ცვლილება. თუმცა, შესამჩნევია მზარდი ცვლილებები. მეორე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოზიციები ძირითადად თანმიმდევრულია სამი საპარლამენტო არჩევნების პერიოდში. მესამე, ქართული ოცნების, როგორც პარტიის პოზიციონირება მნიშვნელოვნად შეიცვალა. ქართულმა ოცნებამ შეამცირა რუსეთის შესახებ უარყოფითი ხედვების ინტენსიურობა 2012 წლის შემდეგ მომდევნო ორი არჩევნების პერიოდში და ამავდროულად გაზარდა დასავლეთის მიმართ პოზიტიური ხედვების გამოხატვის ინტენსივობა. იმის გათვალისწინებით, რომ 2016 და 2020 წლების არჩევნებში ქართულმა ოცნებამ თანმიმდევრულობა გამოიჩინა პოზიციონირებაში, შეიძლება ვარაუდი, რომ პარტია საკუთარი ხედვების კონსოლიდირებას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოზიციებისგან გამოიჯვნით ახდენს. დაბოლოს, ამავე მიმართულებით შეიცვალა ქართული ოცნების მიერ შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტების პოზიციონირებაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული ოცნება, როგორც პარტია და ქართული ოცნება, როგორც მთავრობა პოზიციების დაახლოების პროცესში არიან.

## **კეისარს კეისრისა: საქართველოს მთავრობის მოქმედებები - სტრატეგია თუ ტაქტიკა?**

ქართული ოცნების წარმომადგენლები საკუთარ განცხადებებში ხშირად აპელირებენ პრაგმატულობასა და საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე. მიუხედავად იმისა, რომ პრაგმატიზმის ქართული ოცნებისეული გაგება ხშირად გამხდარა კრიტიკის საგანი მასთან დაკავშირებული რისკების გამო (კაკაჩია და კაკაბაძე 2022; Kakachia, Kakhishvili and Minesashvili 2015), მნიშვნელოვანია განისაზღვროს ქართული ოცნების მოქმედებები სტრატეგიას წარმოადგენს თუ ტაქტიკას.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზის მიხედვით საქართველოს მთავრობა არ გამხდარა პრო-რუსული ან ანტი-დასავლური, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ქართული ოცნების პასუხი უკრაინაში მიმდინარე ომზე უბრალო ტაქტიკური სვლა იყოს. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობის თავშეკავებული მოქმედებები მართლაც იმ ტაქტიკური აზროვნების შედეგია, რომლის მიხედვითაც საქართველოს თავიდან უნდა

აერიდებინა ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუარესება და მოსკოვის ყურადღება, მაშინ საქართველოს მთავრობას აქტიურად უნდა ემუშავა საჯაროდ შეუმჩნეველი დიპლომატიური არხებით სტრატეგიული პარტნიორების, მათ შორის, პირველ რიგში უკრაინის დასარწმუნებლად, რომ საქართველო მხარს უჭერს უკრაინას. თუმცა, ორი ფაქტორი მიანიშნებს იმაზე, რომ ეს არ მომხდარა. პირველი, საქართველოს მთავრობის მიერ გაკეთებული განცხადებები, იმის მაგივრად რომ ნეიტრალური ყოფილიყო, შეიძლება „ანტი-უკრაინულად“ ჩაითვალოს (კუპრეიშვილი 2022), რამაც მთავრობის განცხადებები რუსული პროპაგანდის ინსტრუმენტად აქცია. პრო-პუტინისტური აქტორების მიერ გაკეთებული შეფასებები, რომ საქართველო „გამოჯანმრთელდა“ (RadioTavisupleba 2022c), იმის ილუსტრაციაა, რომ რუსულ ტანკებს, როგორც ჩანს, მეზობელი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის გამოსწორება შეუძლია.

თუმცა უფრო მნიშვნელოვანია მეორე ფაქტორი, რომელიც უკავშირდება უკრაინის მთავრობის ცხად იმედგაცრუებას საქართველოს მთავრობის მოქმედებებით. უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ საქართველოს მთავრობის მოქმედებები გააკრიტიკა, ხოლო ქართველ ხალხს მადლობა გადაუხადა, რითიც მეგობრების დახმარების მნიშვნელობაზე გააკეთა მინიშნება (FormulaNews 2022). ამასთან, უკრაინის პრემიერ მინისტრმა - დენის შმიჰალმა თავის ტვიტში, თითქმის, დასცინა საქართველოს პრემიერ მინისტრის გადაწყვეტილებას არ გამგზავრებულიყო კიევში დახურული საჰაერო სივრცის გამო (RadioTavisupleba 2022a). ამ ტვიტზე საპასუხოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სავარაუდო გავლენაზე მიანიშნა და აღნიშნა, რომ მას „საკუთარი მოსაზრებები ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, თუ საიდან შეიძლება მოდიოდეს ეს [შმიჰალის ქართულად დაწერილი ტვიტი]“ (RadioTavisupleba 2022a). თუმცა ზალკალიანის მცდელობა, გაემიჯნა ოფიციალური კიევის პოზიცია სოციალურ ქსელში პრემიერ მინისტრის პოსტისგან, ფუჭი აღმოჩნდა, როდესაც უკრაინამ საკუთარი ელჩი გაიწვია საქართველოდან „მოხალისეებისთვის [უკრაინაში წასვლის] ხელის შეშლისა და [რუსეთის წინააღმდეგ] სანქციებზე [საქართველოს მთავრობის] ამორალური პოზიციის გამო“ (Netgazeti 2022). უკრაინის მთავრობის განცხადებები და მოქმედებები ცხადად მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს მთავრობამ ძალიან ცოტა გააკეთა იმისთვის, რომ უკრაინელი კოლეგები თბილისის მხრიდან უკრაინის სრულ მხარდაჭერაში დაერწმუნებინა. ნაცვლად ამისა, ქართული ოცნების პასუხი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დადანაშაულება იყო „კოორდინირებულ მცდელობაში სამხედრო კონფლიქტში ჩაეთრია ქვეყანა“ (RadioTavisupleba 2022b). შესაბამისად, ძალიან ცოტა მტკიცებულებაა იმისა, რომ ქართული ოცნების საჯარო განცხადებები უბრალო ტაქტიკური სვლაა შესაძლო რუსული აგრესიის რისკის სამართავად.

## საქართველოს მთავრობის პასუხის ლოგიკური და აღქმითი პრობლემები

უფრო ფართო სურათს თუ შევხედავთ, საქართველოს ოთხი სტრატეგიული პარტნიორიდან ერთს თავს დაესხა საქართველოს ნომერ პირველი მტერი. საქართველოს მთავრობას ორი არჩევანი აქვს: ან დაუჭიროს მხარი სტრატეგიულ პარტნიორს, ან არა. ორივე არჩევანი რისკის შემცველია და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. საქართველოს მთავრობა ირწმუნება, რომ ღია მხარდაჭერა ზედმეტ ყურადღებას გამოიწვევს რუსეთის მხრიდან, რომელმაც, შესაძლოა, საქართველოს დაპყრობაც გადაწყვიტოს. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით, რუსეთის მხრიდან განახლებული სამხედრო აგრესია ერთ-ერთი უპირველესი ეროვნული საფრთხეა საქართველოსთვის. ამდენად, საქართველოს მთავრობის მიზანი, ერთი შეხედვით, სწორხაზოვნად გამოიყურება, თუმცა აქვს ლოგიკური და აღქმითი პრობლემებიც (see Buzan 1991).

მიზეზი, რატომაც რუსეთის სამხედრო აგრესია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველია, გარდა უპირობოდ დამანგრეველი შედეგებისა, არის სუვერენიტეტის - საქართველოს უმნიშვნელოვანესი ეროვნული ინტერესის - დარღვევა. 2000 წლიდან, საქართველოს მთავრობები, მათ შორის 2012 წლიდან მოყოლებული ქართული ოცნების სამი მთავრობა, თანხმდებოდა იმაზე, რომ ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სტრატეგია ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციაა. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველომ აირჩია საერთაშორისო სტრატეგია ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომლის მიზანიც თვითუზრუნველყოფის შემცირება და პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობაა საერთო საფრთხის შესამცირებლად (Buzan 1991). ამის ალტერნატივა იქნებოდა ეროვნული სტრატეგია, რომელიც შეამცირებდა მოწყვლადობას და შექმნიდა შესაძლებლობებს თვითუზრუნველყოფის გასაზრდელად (Buzan 1991). საერთაშორისო სტრატეგიის სისუსტე ისაა, რომ ის ძირითადად სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ხარისხიანად მართვაზეა დამოკიდებული (Buzan 1991). ამდენად, თუ საქართველო ვერ შეძლებს სტრატეგიული პარტნიორობთან ურთიერთობების სათანადოდ მართვას, მას არ უნდა ჰქონდეს პარტნიორების იმედი საერთო საფრთხეების შესამცირებლად. ეს არის უსაფრთხოების პოლიტიკის ლოგიკური პრობლემა.

ამ ფონზე, საქართველოს მთავრობის განცხადება, რომ ის მხოლოდ ეროვნული ინტერესების დაცვას ცდილობს, აღქმით პრობლემაში გადაიზრდება. აღქმითი პრობლემა დგება მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიმღებები ვერ აფასებენ იმას, თუ რას აღიქვამენ ფაქტებად და რა მნიშვნელობას ანიჭებენ ამ ფაქტებს მათი კოლეგები (see Buzan 1991). ამ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა ვერ ხედავს სტრატეგიული პარტნიორის თუნდაც სიმბოლური მხარდაჭერის მნიშვნელობას, როგორც ეს უკრაინაში და დასავლეთში აღიქმება. შესაბამისად, „რუსეთის მიმართ რბილი დაშოშმინების პოლიტიკისა და ტრადიციულ დასავლელ მოკავშირეებთან თავშეკავებული კომუნიკაციის გამო საქართველომ, შეიძლება, ორივე [პროდასავლური და პრორუსული] პოლიტიკის ყველაზე უარესი შედეგები მიიღოს“ (De Waal

2022). ერთადერთი ნუგეში საქართველოსთვის და მისი დიდწილად პროუკრაინული საზოგადოებისთვის ქვეყნის ცერემონიული პრეზიდენტის განცხადებები და მოქმედებებია, რომელიც ძლიერ სიტყვიერ მხარდაჭერას გამოხატავს უკრაინის მიმართ.

## დასკვნა: ეროვნული ინტერესები და სტრატეგიული პარტნიორები

მაშინ, როდესაც ფსონები იზრდება, საქართველოს მთავრობას არჩევანის გაკეთება უწევს. საქართველოს მთავრობის არგუმენტები იმ დაშვებას ეფუძნება, რომ საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები რუსეთის მოქმედებებზე გავლენას მოახდენს. პრობლემა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიზანშია, რომელიც გულისხმობს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებზე გავლენის გაძლიერებას ეკონომიკური და სამხედრო ღონისძიებებით და ამავდროულად, რეგიონში დასავლეთის წარმოდგენის შეზღუდვით. შესაბამისად, სამხედრო აგრესიით თუ მის გარეშე, საქართველოსთვის რუსეთს მხოლოდ შეზღუდული სუვერენიტეტის შეთავაზება შეუძლია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის გარეშე. საქართველო ან ეთანხმება ამ შემოთავაზებას, ან არა. შესაბამისად, თუ რუსეთი მოიგებს ომს უკრაინაში, საქართველოსთვის იგივე შედეგი დადგება იმის მიუხედავად, თუ რას მოიმოქმედებს ქვეყანა ომის დროს - საქართველოს, სავარაუდოდ, მოუწევს შეზღუდულ სუვერენიტეტზე დათანხმება. თუმცა, ამ შემთხვევაში „იმედის მომცემია“ ის, რომ მთავრობას ყოველთვის ექნება დრო დანებებისა და კაპიტულაციისთვის. მაგრამ, სარისკოა ამის ნაადრევად გაკეთება.

თუ რუსეთი ომს წააგებს და უკრაინა სუვერენიტეტს შეინარჩუნებს, ეს გამოიწვევს რუსეთის დასუსტებას, რომელსაც აღარ ექნება რესურსი ახალი ომის საწარმოებლად. დასავლეთისთვისაც გაცილებით მარტივი გახდება მოსკოვის სამომავლო შეკავება.

პარადოქსულია, მაგრამ ეს არის სცენარი, სადაც საქართველოს მოქმედებებს მნიშვნელობა ენიჭება. ან საქართველო გამოჩნდება, როგორც სანდო პარტნიორი, რომელიც არ ტოვებს სტრატეგიულ პარტნიორებს, ან როგორც არასანდო პარტნიორი. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაუჭერს საქართველო მხარს უკრაინას და დასავლელ პარტნიორებს. მნიშვნელოვანია საქართველომ მჭიდრო კავშირი შეინარჩუნოს დასავლეთთან. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ ქვეყანა მარტო დარჩება რუსეთთან. პრობლემა ისაა, რომ რუსეთი, სუსტიც კი, საქართველოსთვის საფრთხის შემცველია, თუ საქართველოს დასავლეთის მხარდაჭერა არ ექნება.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიმართ ჩნდება კითხვა: სჯერა თუ არა, რომ უკრაინა გაუძლებს რუსულ აგრესიას და რომ უკრაინისთვის დასავლეთის მიერ გაწეული დახმარება და რუსეთზე ზეწოლა საკმარისი იქნება პუტინის შესაჩერებლად. თუკი რუსეთი გაიმარჯვებს, საქართველოს მთავრობის მოქმედებებს, სავარაუდოდ, საქართველოს



მომავალზე დიდი გავლენა არ ექნება. იმის მოლოდინი, რომ რუსეთი მიაღწევს თავის გეოპოლიტიკურ მიზანს და ამის გამო საქართველომ დაშოშმინების პოლიტიკა უნდა გაატაროს მის მიმართ, ეწინააღმდეგება საქართველოს პრო-დასავლურ ორიენტაციას, რომელიც კონსტიტუციით არის გამყარებული. ამასთან, რუსეთთან მიმხრობა ქმნის ჩაკეტილ წრეს, რადგან პრორუსული ორიენტაცია გულისხმობს შეზღუდული სუვერენიტეტის მიღებას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის დამოუკიდებლობის იდეასთან, რომელიც ის უმთავრესი ეროვნული ინტერესია, რომლის დაცვაზეც აქვს პრეტენზია ქართულ ოცნებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- Alexander, Peter. 2022. *One of Russia's closest allies denies request for troops*. Available at: <https://www.nbcnews.com/news/world/live-blog/russia-ukraine-live-updates-n1289976/ncrd1289985#liveBlogCards>  
Accessed on: February 28, 2022.
- BBC. 2017. *Saakashvili: Ukraine departs ex-Georgia president to Poland*. Available at: <https://www.bbc.com/news/world-europe-43036969> Accessed on: March 1, 2022.
- Buzan, Barry. 1991. *People States and Fear*. 2<sup>nd</sup> edn. London: Harvester Wheatsheaf.
- Civil Georgia. 2017. *Tbilisi Seeks Saakashvili's Extradition from Ukraine*. Available at: <https://civil.ge/archives/218277> Accessed on: March 1, 2022.
- Civil Georgia. 2022b. *Georgia Won't Join Russia Sanctions, PM Says*. Available at: <https://civil.ge/archives/475153> Accessed on: March 1, 2022.
- Civil Georgia. 2022c. *Georgia's Ruling Party Rejects Parliamentary Session on Ukraine*. Available at: <https://civil.ge/archives/474938> Accessed on: March 1, 2022.
- Civil Georgia. 2022d. *Georgian Parliament Adopts Resolution Supporting Ukraine, Omits 'Russian Aggression'*. Available at: <https://civil.ge/archives/470322> Accessed on: March 1, 2022.
- Civil Georgia. 2022f. *Kobakhidze Claims UNM Wants War in Georgia, Ukraine*. Available at: <https://civil.ge/archives/470247> Accessed on: March 1, 2022.
- Civil Georgia. 2022g. *PM: Sanctions Ineffective, Nobody to Stop Bombing of Kyiv*. Available at: <https://civil.ge/archives/475824> Accessed on: March 1, 2022.
- De Waal, Tom. 2022. *Darkness Looms Over Ukraine's Neighborhood*. Available at: [https://carnegieeurope.eu/strategieurope/86563?utm\\_source=rssemail&utm\\_medium=email&mkt\\_tok=MDk1LVBQVio4MTMAAAGC7qTnsyTNNQynNg-TmeKIMFmYrKv85-TU0wDg5opR-iyQEHweDiHvb0\\_L2pSJacpXjI1IGql6Zs900Pdqvho3YFT3bgiTxxJ54iwrURhzenYw&fbclid=IwAR1qg3PqFHasgUwO2FU\\_SGBmWCqb0tFAqXZy3Y9qloftmPGb1prmhxoHJ0bg](https://carnegieeurope.eu/strategieurope/86563?utm_source=rssemail&utm_medium=email&mkt_tok=MDk1LVBQVio4MTMAAAGC7qTnsyTNNQynNg-TmeKIMFmYrKv85-TU0wDg5opR-iyQEHweDiHvb0_L2pSJacpXjI1IGql6Zs900Pdqvho3YFT3bgiTxxJ54iwrURhzenYw&fbclid=IwAR1qg3PqFHasgUwO2FU_SGBmWCqb0tFAqXZy3Y9qloftmPGb1prmhxoHJ0bg) Accessed on: Mar 3, 2022.
- Euronews. 2022. *Von der Leyen condemns 'barbaric' invasion of Ukraine, vows to cripple Russia's economy*. Available at: <https://www.euronews.com/my-europe/2022/02/24/von-der-leyen-condemns-barbaric-invasion-of-ukraine-vows-to-cripple-russia-s-economy> Accessed on: February 28, 2022.
- European Union External Action. 2022. *Russia's aggression against Ukraine: Press Statement by High Representative/Vice-President Josep Borrell*. Available at: [https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/111476/russias-aggression-against-ukraine-press-statement-high-representativevice-president-josep\\_en](https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/111476/russias-aggression-against-ukraine-press-statement-high-representativevice-president-josep_en) Accessed on: March 1, 2022.
- FormulaNews. 2022. *ზელენსკი: მადლობა ქართველ ხალხს, ის შემთხვევაა, როცა მოქალაქეები მთავრობაზე უკეთესნი არიან*. Available at: <https://formulanews.ge/News/65299> Accessed on: March 1, 2022.
- Government of Georgia. 2011. *National Security Concept of Georgia*. Available at: <http://www.nsc.gov.ge/files/files/National%20Security%20Concept.pdf> Accessed on January 6, 2013.
- Government of Georgia. 2014. *National Military Strategy*. Available at: <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NMS-ENG.pdf> Accessed on: March 1, 2022.
- Government of Georgia. 2015. *Foreign Policy Strategy 2015-2018*. Available at: <http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx> Accessed April 12, 2018.

Government of Georgia. 2019. *Foreign Policy Strategy 2019-2022*. Available at:

<http://mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-tslebis-sakartvelosagareo-politikis-strategia.pdf.aspx> Accessed on: April 24 2018.

InterPressNews. 2022. *გია ვოლსკი - ძალიან დიდი განხვევაა უკრაინაში არსებულ სიტუაციასა და 2008 წელს შორის - ჩვენ დანა ვვაქვს ჩარტყმული ზურგში „ნაციონალური მოძრაობის“ მკვებლური პოლიტიკის გამო, ლანცეტი და ჟანგბადის ბალიში რუსებს დააჭერინეს ხელში*. Available at: <https://www.interpressnews.ge/ka/article/697242-gia-volski-zalian-didi-gansxvavebaa-ukrainashi-arsebul-situaciassa-da-2008-cels-shoris-chven-dana-gvakvs-chartqmulizurgshi-nacionalurimozraobis-mavnebluri-politikis-gamo-lanceti-da-zhangbadis-balishi-rusebs-daacherines-xelshi> Accessed on: March 1, 2022.

Kakachia, Kornely. 2016. "The return of geopolitics: Georgia in the shadow of Russian-Ukrainian conflict." In: Besier, G., & Stoklosa, K. (Eds.). *Neighbourhood Perceptions of the Ukraine Crisis: From the Soviet Union into Eurasia?* London: Routledge.

Kakachia, Kornely, Levan Kakhishvili, and Salome Minesashvili. 2015. *Russia-Georgia relations – possible threats and challenges of the "normalization" process*. Available at: <https://gip.ge/wp-content/uploads/2016/06/Russia-Georgia-relations-possible-threats-and-challenges-of-the-normalization-process-1.pdf> Accessed on: March 2, 2022.

Kakachia, Kornely, Salome Minesashvili, and Levan Kakhishvili. 2018. "Change and continuity in the foreign policies of small states: Georgia's policy towards Russia." *Europe-Asia Studies*, 70(5), 814-831.

Kakhishvili, Levan. 2021. "Towards a two-dimensional analytical framework for understanding Georgian foreign policy: How party competition informs foreign policy analysis." *Post-Soviet Affairs*, 37(2), 174-197.

Kakhishvili, Levan, and Alexander Kupatadze. 2022. "End of the post-Soviet era in Georgia's foreign policy? Georgia's relations with former Soviet republics". In: T. German, K. Kakachia, and S. F. Jones (eds), *Georgia's foreign policy in the 21st century: Challenges for a small state*. London: Bloomsbury Publishing.

Kakhishvili, Levan, Davit Kesheleva, Giorgi Papava, and David Sichinava. 2021. *Georgia's political landscape: Diversity, convergence and empty spots*. Friedrich Ebert Stiftung: Tbilisi.

Lowe, Will, Kenneth Benoit, Slava Mikhaylov, and Michael Laver. 2011. "Scaling Policy Preferences from Coded Political Texts." *Legislative Studies Quarterly*, 36 (1): 123-155.

Martina, Michael. 2022. *China says it respects Ukraine's sovereignty and Russia's security concerns*. Available at: <https://www.reuters.com/world/europe/china-says-it-respects-ukraines-sovereignty-russias-security-concerns-2022-02-25/> Accessed on: February 28, 2022.

Netgazeti. 2022. *ზელენსკიმ საქართველოდან ელჩი გაიწვია*. Available at: [https://netgazeti.ge/opinion/595786/?fbclid=IwAR19tw4zmbO7uVc1agOIFVv7OKZVm1AY7rEqvkl\\_nuflubdPjGCdU5-11I](https://netgazeti.ge/opinion/595786/?fbclid=IwAR19tw4zmbO7uVc1agOIFVv7OKZVm1AY7rEqvkl_nuflubdPjGCdU5-11I) Accessed on: March 1, 2022.

RadioTavisupleba. 2022a. *ზალკალიანი დენის შმიჰალის პოსტზე: ეჭვი მაქვს ამ ტვიტის შექმნაში თვითონ პრემიერი არ უნდა იყოს ჩართული*. Available at: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31728818.html> Accessed on: March 1, 2022.

RadioTavisupleba. 2022b. *კობახიძე: მიხეილ სააკაშვილმა თავადაც აღნიშნა, რომ დავით არახამია მისი დაფრთხილებულია*. Available at: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31732639.html> Accessed on: March 4, 2022.

RadioTavisupleba. 2022c. *მეგობრებო, საქართველო განიკურნა!* - RT-ის მთავარი რედაქტორი მარგარიტა სიმონიანი. Available at: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31723309.html> Accessed on: March 1, 2022.

The Economist Intelligence Unit. 2017a. *Mikheil Saakashvili Stripped of Ukrainian Citizenship*. Available at:

<http://country.eiu.com/article.aspx?articleid=365745420&Country=Ukraine&topic=Politics&subtopic=Forecast&subsubtopic=Political+stability> Accessed on: March 1, 2022.

The Economist Intelligence Unit. 2017b. *Ukraine and Georgia to Co-Operate on EU and NATO Integration*. Available at: <http://country.eiu.com/article.aspx?articleid=665703850&Country=Ukraine&topic=Politics&subtopic=Forecast&subsubtopic=International+relations&u=1&pid=965696680&oid=965696680&uid=1> Accessed on: March 1, 2022.

The White House. 2022. *Statement by President Biden on Russia's Unprovoked and Unjustified Attack on Ukraine*. Available at: <https://www.whitehouse.gov/briefing-room/statements-releases/2022/02/23/statement-by-president-biden-on-russias-unprovoked-and-unjustified-attack-on-ukraine/> Accessed on: February 28, 2022.

Tsvetkova, Maria. 2022. *Putin puts nuclear deterrent on alert; West squeezes Russian economy*. Available at: <https://www.reuters.com/world/india/war-with-ukraine-putin-puts-nuclear-deterrence-forces-alert-2022-02-27/> Accessed on: March 2, 2022.

კაკაჩია, კორნელი, და შოთა კაკაბაძე. 2022. *მცოვავი ფინლანდიზაცია თუ კეთილგონივრული საგარეო პოლიტიკა: საქართველოს სტრატეგიული გამოწვევები უკრაინის კრიზისის ფონზე*. Available at: <https://gip.ge/wp-content/uploads/2022/02/პოლიტიკის-დოკუმენტი-29-1.pdf> Accessed on: March 2, 2022.

კუპრეიშვილი, თაზო. 2022. *ღარიბაშვილისა და „ოცნების“ ანტიუკრაინული ქმედებები ომის დაწყების შემდეგ*. Available at: <https://netgazeti.ge/life/595817/> Accessed on: March 2, 2022.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

**NPI** Norwegian Institute  
of International  
Affairs

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა ნორვეგიის კვლევითი საბჭოს მიერ დაფინანსებული პროექტის თანამშრომლობითი კომპეტენცია: ცოდნის გაძლიერება საქართველოს სტრატეგიულ გზაზე (GEOPATH) (პროექტის ნომერი 287815) ფარგლებში, რომელიც კოორდინირებულია ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის მიერ. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ორგანიზაციის შეხედულებებს.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი და მისი დონორები არ განსაზღვრავენ და შეიძლება არ ემხრობოდნენ და მხარს არ უჭერდნენ წინამდებარე ნაშრომში გაკეთებულ დასკვნებს.

#### დოკუმენტის ციტირების წესი:

ლევან კახიშვილი, „ეროვნული ინტერესების დაცვა თუ სტრატეგიული პარტნიორების მიტოვება? საქართველოს მთავრობის პოზიცია რუსეთის უკრაინაში შეჭრაზე“, პოლიტიკის მემორანდუმი #54, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, მარტი 2022.

© Georgian Institute of Politics, 2022  
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia  
Tel: +995 599 99 02 12  
Email: [info@gip.ge](mailto:info@gip.ge)

For more information, please visit  
[www.gip.ge](http://www.gip.ge)